საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-565

18/06/2019

ქ. თბილისი

,,სს კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ფოთის საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემების და გამწმენდი ნაგებობების მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ'' საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 6 ივნისის N 2-491 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

სს კორპორაცია ,,ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით წარმოდგენილი იყო ფოთის საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემების და გამწმენდი ნაგებობების მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ 2019 წლის 6 ივნისს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N 2-491 ბრძანება ,,ფოთის საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემების და გამწმენდი ნაგებობების მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ''.

აღნიშნული ბრძანების მეორე აბზაცში და ბრძანების მე-2 და მე-6 პუნქტებში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა, კერძოდ, სს კორპორაცია ,,ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიმდინარე საქმიანობაზე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის N24 (20.02.2009) და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის N00186 (23.02.2009) ნაცვლად, მითითებული უნდა იყოს სს კორპორაცია ,,ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიმდინარე საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ'' საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 14 თებერვლის N 2-140 ბრძანება, რაც საჭიროებს შესწორებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 59-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,სს კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ფოთის საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემების და გამწმენდი ნაგებობების მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ'' საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 6 ივნისის N 2-491 ბრძანების:

   ა) აღწერილობითი ნაწილის მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ,,სს კორპორაცია ,,ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიერ 2019 წლის 7 თებერვლის მომართვის საფუძველზე გაიცა, სს კორპორაცია ,,ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიმდინარე საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ'' საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 14 თებერვლის N 2-140 ბრძანება'';

   ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ,,სს კორპორაცია ,,ფოთის საზღვაო ნავსადგური“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს სს კორპორაცია ,,ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიმდინარე საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ'' საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 14 თებერვლის N 2-140 ბრძანებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების გათვალისწინებით'';

   გ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ,,სს კორპორაცია ,,ფოთის საზღვაო ნავსადგურისათვის“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2019 წლის 14 თებერვლის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N 2-140 ბრძანების პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა ფოთის საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემების და გამწმენდი ნაგებობების მოწყობისა და ექსპლუატაციისას'';

2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს კორპორაცია ,,ფოთის საზღვაო ნავსადგურს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს სს კორპორაცია ,,ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი